საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 439-03
14/02/2020

**„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 იანვრის N157-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე

**ვბრძანებ**

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 იანვრის N157-03 ბრძანების პირველ პუნქტში, კერძოდ რეგისტრაციის ვადას დაემატოს 2020 წლის 14 თებერვალი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტუდენტების რეგისტრაციის ვადად, რომლებმაც მოიპოვეს მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის და სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, განისაზღვროს 2020 წლის 11, 12, 13, 14 თებერვალი 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A303

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - მის.: მ. თამარაშვილის ქ. N4, ოთახი H118 (H კორპუსთან შემოსასვლელი ქ.ჩოლოყაშვილის გამზ., 3/5, ეზოდან);

გ) სამართლის სკოლა - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A407;

დ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5, ოთახი E302.“

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი